

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

S.R.T

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

ქ. ზუგდიდი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობა
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2020	2019
ამონაგები	3	14459160	12610775
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(13278740)	(11292079)
საერთო მოგება		1180420	1318695
სხვა შემოსავალი	4	63703	135446
კომერციული დანახარჯები		(473979)	(319353)
ადმინისტრაციული ხარჯები		(261114)	(365184)
სხვა ხარჯები		(832725)	(58870)
ფინანსური დანახარჯები		(202944)	(238785)
მოგება დაბეგვრამდე		(526639)	471950
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება		(526639)	471950
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1036730	564780
დივიდენდის გაცემა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		510091	1036730

დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2020	2019
ამონაგები	3	14459160	12610775
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(13278740)	(11292079)
საერთო მოგება		1180420	1318695
სხვა შემოსავალი	4	63703	135446
კომერციული დანახარჯები		(473979)	(319353)
ადმინისტრაციული ხარჯები		(261114)	(365184)
სხვა ხარჯები		(832725)	(58870)
ფინანსური დანახარჯები		(202944)	(238785)
მოგება დაბეგვრამდე		(526639)	471950
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება		(526639)	471950
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1036730	564780
დივიდენდის გაცემა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		510091	1036730

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2020წ	31.12.2019წ	01.01.2019წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2353641	2462522	2582505
გრძელვადიანი ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება			
არამატერიალური აქტივები	112247	112247	59858
გაცემული სესხები			
ბიოლოგიური აქტივი	492	492	492
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	2466380	2575262	2642855
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5 4575422	2767647	2737152
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445669	1291811	65064
სასესხო მოთხოვნები			
მოკლევადიანი ინვესტიციები			
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	18806	16414	14759
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	258426	269769	379773
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები	5298324	4345641	3196748
სულ აქტივები:	7764704	6920903	5839603

**საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები**

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	244118	180000	300000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	1008160	598040	564780
მიმდინარე წლის მოგება_ზარალი	(498069)	438690	0
რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	754210	1216730	864780

**გრძელვადიანი
ვალდებულებები**

სასესხო ვალდებულებები	5335257	5314307	4929940
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5335257	5314307	4929940

**მოკლევადიანი
ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1673947	389375	41101
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	3782
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1290	491	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1675237	389866	44883

**სულ საკუთარი კაპიტალი
და ვალდებულებები**

7764703	6920903	5839603
----------------	----------------	----------------

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2020წ	31.12.2019წ	01.01.2019წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2353641	2462522	2582505
გრძელვადიანი ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება			
არამატერიალური აქტივები	112247	112247	59858
გაცემული სესხები			
ბიოლოგიური აქტივი	492	492	492
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	2466380	2575262	2642855
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5 4575422	2767647	2737152
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445669	1291811	65064
სასესხო მოთხოვნები			
მოკლევადიანი ინვესტიციები			
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	18806	16414	14759
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	258426	269769	379773
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები	5298324	4345641	3196748
სულ აქტივები:	7764704	6920903	5839603

**საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები**

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	244118	180000	300000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	1008160	598040	564780
მიმდინარე წლის მოგება_ზარალი	(498069)	438690	0
რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	754210	1216730	864780

**გრძელვადიანი
ვალდებულებები**

სასესხო ვალდებულებები	5335257	5314307	4929940
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5335257	5314307	4929940

**მოკლევადიანი
ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1673947	389375	41101
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	3782
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1290	491	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1675237	389866	44883

**სულ საკუთარი კაპიტალი
და ვალდებულებები
დირექტორი**

7764703	6920903	5839603
----------------	----------------	----------------

Handwritten signature

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის შემადგენლობაში შედის შპს S.R.T და მისი შვილობილი შპს გერმუნდ ჰულგი ჯორჯია. ორივე მატანის მისამართია ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. #89. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა თხილის გადამუშავება, ექსპორტი და გრძელვადიანი აქტივის იჯარით გაცემა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პაკეტი, რომელიც საწარმომ მოამზადა როგორც დამატება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე, რომელსაც იგი მოამზადებს წარადგენს მოცემულ პაკეტთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული (2015 წელი) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარი.

ჯგუფის კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. იგი ეფუძნება მიმდინარე წლის განმავლობაში წმინდა მოგების განაწილებას დივიდენდის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები

5-10პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა

20-40 პროცენტი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

20-30 პროცენტი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები;	14372804	12454082
2	შენობის იჯარიდან მიღებული ამონაგები;	74576	137661
3	სხვა მარაგის რეალიზაცია (პალეტი, მაგნიტი)	11781	19032
	სულ ამონაგები	14459161	12610775

4. სხვა შემოსავლები

	დასახელება	2020 წელი	2019 წელი
1	თანადაფინანსება	62828	83984
2	EBRD პროექტიდან შემოსავალი	0	51462
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1318	0
	ჯამი:	64146	135446

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	დასახელება	31.12.2020 წ	31.12.2019 წ	01.01.2019 წ
1	ნედლეული და მასალები	3751548	1465463	1164294
2	მზა პროდუქცია	1908603	1297874	1569947
3	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5349	4589	2911
	ჯამი	5665500	2767926	2737152

7 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გასამრჯელო

ქვემოთ მოტანილია ინფორმაცია ჯგუფის დამფუძნებელი-დირექტორის გასამრჯელოების შესახებ

		2020 წელი	2019 წელი
	ხელფასი	15288	19375

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 11 ნოემბერს, დაზუსტდა 2022 წლის 1 ნოემბერს.